516
02.09.2010

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1-439

ქ. თბილისი "31" 08 2010წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა უპოვართათვის და მისი განვითარების ფონდი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა უპოვართათვის და მისი განვითარების ფონდი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა უპოვართათვის და მისი განვითარების ფონდი"-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა უპოვართათვის და მისი განვითარების ფონდი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა უპოვართათვის და მისი განვითარების ფონდი"-ს განცხადება.

გოჩა მამაცაშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა უპოვართათვის და მისი განვითარების ფონდი"-ს.